ხელშეკრულება № -9--/---

ნორმატიული აქტების საინფორმაციო–საძიებო სისტემა "კოდექსი–ოფისი 2007 R3"–ის ინფორმაციულ მომსახურებაზე

ქ. თბილისი

02 აპრილი 2012 წ.

შ.პ.ს. "ინფოსერვისი" მისი დირექტორის **ზურაბ თეთრაძის** სახით, წოდებული შემდგომში "შემსრულებელი", ერთის მხრივ და სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრი მისი უფროსის **მანანა გრიგოლავას** სახით, წოდებული შემდგომში "დამკვეთი", მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი გადასცემს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საინფორმაციო–საძიებო სისტემას –"კოდექსი–ოფისი 2007 R3" (შემდგომში "კოდექსი–ოფისი"). "კოდექსი–ოფისი" მუშაობს ოპერაციულ სისტემებში – MS WINDOWS 7/XP sp3, და შედგება სამი პროგრამისაგან:

ა) "კოდექსი–ოფისი 2007 R3 "

ბ) და "კოდექსი–ოფისი 2007 R3– კოდიფიცირებული"

გ) "კოდექსი–ოფისი 2007 R3 – საერთაშორისო ხელშეკრულებები"

1.2. "კოდექსი–ოფისი 2007 R3 " მოიცავს:

– საქართველოს კონსტიტუციას;

– საქართველოს პარლამენტის კანონებსა და დადგენილებებს;

–საქართველოს პრეზიდენტის (პარლამენტის თავჯდომარე – სახელმწიფო მეთაურის) ბრძანებულებებსა და განკარგულებებს;

–საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და პლენუმის დადგენილებებს;

–საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის (მინისტრთა საბჭოს, მინისტრთა კაბინეტის) ძირითად დადგენილებებს;

–საქართველოს ეროვნული ბანკის, საგადასახადო სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ 1993 წლის 1 იანვრიდან მიღებულ ძირითად კანონქვემდებარე და ნორმატიულ აქტებს (დადგენილებები, ინსტრუქციები, დებულებები, მითითებები, წერილები დ ა.შ.);

–ქ. თბილისის საკრებულოსა და მერიის დადგენილებებს, გადაწყვეტილებებს, ბრძანებებს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებებს;

–სამინისტროების, კონტროლის პალატის, გენერალური პროკურატურის სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურების (დეპარტამენტები, კომისიები, სააგენტოები და სხვა) მრავალ დოკუმენტს.

– 1.3. "კოდექსი–ოფისი 2007 R3 კოდიფიცირებული" მოიცავს კოდიფიცირებულ საქართველოს ყველა კანონსა და კოდექსს;

1.4 "კოდექსი–ოფისი 2007 R3 – საერთაშორისო ხელშეკრულებები" მოიცავს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, ოქმებს, დეკლარაციებს, მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, საერთაშორისო კონვენციებს;

1.5. ინსტალაციის მომენტში "კოდექს–ოფისი"–ს ინფორმაციული ბაზების მოცულობა შეადგენს **61915**დოკუმენტს **(54875+5119+1921=61915)** .

2. სამუშაოთა ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. " კოდექს–ოფისი 2007 R 3"–ის ღირებ ულება ინსტალაციის მომენ ტში განისაზღვრება **240 (ორას ორმოცი)** ლარის ოდენობით

2.2. მონაცემთა ბაზების ყოველკვირეული ინფორმაციული განახლება ერთ კომპიუტერზე ანაზღაურდება თვეში **40 (ორმოცი)** ლარის ოდენობით, ხოლო "კოდექს–ოფისი"–ს სხვა კომპიუტერებზე დაყენების შემთხვევაში, ყოველ დამატებითი კომპიუტერისათვის აღნიშნულ თანხას თვეში დაემატება **10 (ათი)** ლარი.

2.3. გადახდა მოხდება ყოველთვიურად, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის მიხედვით.

2.4. დამკვეთი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

2.5. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა თანხა მოიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს.

3.მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1.შემსრულებელი ვალდებულია განახორციელოს "კოდექს–ოფისი–ს" ინფორმაციული განახლება არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღების შესაბამისად.

3.2. "კოდექს–ოფისი"–ს ინფორმაცვიული განახლება მოხდება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით.

3.3. დამკვეთი ვალდებულია დაიცვას საინფორმაციო–საძიებო სისტემა "კოდექს–ოფისი" არასანქცირებული გამრავლებისაგან.

3.4. „შემსრულებელი" არ იღებს პასუხისმგებლობას "კოდექსი–ოფისი"–ს მონაცემთა ბაზაში შეტანილი ინფორმაციის უშეცდომობაზე, ასევე ნებისმიერი სახის ზიანზე რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას შეცდომების შედეგად, მათი არსებობის შემთხვევაში.

4. ფორს–მაჟორი ანუ გაუთვალისწინებელი შემთხვევები

4.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა განპირობებული იყო ხელშეკრულების მხარისაგან დამოუკიდებელი დაუძლეველი ძალის გარემოებების ზემოქმედებით, რომლებიც შეუძლებელს ხდიან ხლშეკრულების მხარის მიერ ვალდებულებების დროულად და/ან სათანადოდ შესრულებას, ხელმომწერი მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ამ დაუძლეველი გარემოებების (შენდგომში ფორს–მაჟორი) მოქმედების მანძილზე.

4.2. ხელმომწერი მხარე ან მისი უფლებამონაცვლე, რომელიც ფორს–მაჟორს იმოწმებს, მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით (დასაშვებია შეტყობინება ელექტრული ფოსტის მეშვეობით), ფორს–მაჟორული გარემოებების ზემოქმედების დაწყების და შეწყვეტის შესახებ.

5. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

5.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ან შეიცვალოს მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით. გარდა ამისა, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად, ისე, რომ მას ამისთვის არ დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ შეწყვეტის შესახებ მეორე მხარეს წერილობით შეატყობინებს (დასაშვებია შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე. ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში მხარეთა შორის უნდა მოხდეს საბოლოო ანგარიშსწორება.

5.2. საკითხები, რომლებიც განხილული არ არის ამ ხელშეკრულებაში, გადაწყდება დამატებითი ხელშეკრულების დადებით.

5.3. ქონებრივი ან არა ქონებრივი დავა, რომელთა გამო მხარეები ვერ შეთანხმდებიან, გადაწყდება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. მნიშვნელოვანი ინფლაციის შემთხვევაში (15 %-ზე მეტი) "კოდექს–ოფისი"–ს ინფორმაციული განახლების ანაზღაურება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მხარეთა იურიდიული მისამართები

6.1. ამ ხელშეკრულებას მხარეები დებენ 2013 წლის 1 იანვრამდე და თუ ამ ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე არც ერთმა მხარემ არ წარმოადგინა წერილობითი განცხადება იმის თაობაზე, რომ სურს შეცვალოს ან გააუქმოს ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულების ვადა ყოველწლიურად ავტომატურად გაგრძელდება ერთი კალენდარული წლით.

6.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა ენიჭება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

6.3. მხარეთა იურიდიული და საბანკო რეკვიზიტებია:

შ.პ.ს. "ინფოსერვისი"
საიდენტიფიკაციო კოდი 200001229
მისამართი: თბილისი, კ. ხეთაგუროვის 4
ტელ: 2- 95-10-36
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი "რესპუბლიკა"–ს სადგურის ფილიალი
ანგარიშის № GE31BR0600003608002037
ბანკის კოდი REPLGE22

სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი: 239860904
მისამართი: სენაკი, ც.დადიანის 7
ტელ: 577 172 272
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ანგ № 200122900

შ.პ.ს. "ინფოსერვისი"–ს დირექტორი
ზურაბ თეთრაძე

____

2 აპრილი 2012 წ.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფრ.სი
მანანა გრიგოლავა

____

02.04. 2012წ.